დაუმთავრებელი იერიშები

თბილისი. “დინამოს” სტადიონი. 16 მაისი.

“დინამო” (თბილისი) - “ტორპედო” (მოსკოვი) 0:1 (0:1).

“ტორპედო”: დენისენკო, მედაკინი, შუსტიკოვი, ოსტროვსკი, ველიკანოვი, სენიუკოვი, მეტრეველი, ივანოვი, გუსაროვი, ფალინი, ემიშევი (ტერეხოვი).

“დინამო”: ს. კოტრიკაძე, ელოშვილი, ჩოხელი, ხოჭოლავა, ა. კოტრიკაძე, სიჭინავა, მელაშვილი, იამანიძე, კალოევი, ღოღობერიძე (ზეინკლიშვილი), მესხი.

მსაჯი ზ. ზიაბლიკოვი (ლენინგრადი).

დიქტორს ჯერ არც ჰქონდა დამთავრებული გუნდების შემადგენლობათა გამოცხადება და ორივე კართან შეიქმნა მომენტები, რომლებიც სულ იოლად შეიძლებოდა გოლით დამთავრებულიყო. ეს განსაკუთრებით შეიძლება ითქვას “ტორპედოს” კართან გათამაშებულ კომბინაციაზე: კალოევმა მარჯვენა ფრთიდან გადასცა ბურთი იამანიძეს, ამ უკანასკნელმა ცენტრში მიაწოდა იგი და მელაშვილი სრულიად ღია დარჩა კარის წინ. დარტყმა შეიძლებოდა სრულიად ნელა, რბილად, მაგრამ “დინამოს” გარემარბმა რატომღაც აირჩია ძლიერი დარტყმით გაეტანა ბურთი და... ააცილა მას ფეხი. იქვე აღმოჩნდა ღოღობერიძე, რომელიც არანაკლებ ხელსაყრელ მდგომარეობაში იმყოფებოდა, მაგრამ მას უკანასკნელ წამს მოუსწრო მეკარემ. კარი გადარჩა.

ეს “საჩუქარი” ტორპედოელებმა სულ მალე ორმაგად აინაზღაურეს. მე-11 წუთზე თბილისელთა საჯარიმო მოედნის სიახლოვეს მოწოდებულ იქნა ბურთი, ჩოხელი წინ გამოვიდა მის მისაღებად და დაუცდა ფეხი. ფალინი მაშინვე დაეუფლა ბურთს, გავიდა მცველებს შორის და ზუსტად გაიტანა გოლი მარჯვენა დაბალ კუთხეში - 1:0.

მოსკოველებმა მაშინვე სცადეს თავიანთი წარმატების განმტკიცება და მთელი ძალებით გადმოვიდნენ იერიშზე. ამ შეტევაში თანაბრად აქტიური იყო მთელი თავდასხმა, მაგრამ არ შეიძლება ითქვას, რომ “ტორპედოს” ჰქონდა შესამჩნევი ტერიტორიული უპირატესობა. შუა ტაიმში დინამოელებმა ხელთ აიღეს ინიციატივა და თამაში სტუმრების კართან გადაიტანეს, სადაც კვლავ შესანიშნავად ითამაშა კალოევმა. მე-40 წუთზე მან წამოიწყო კომბინაცია, რომლის დასასრულს მესხი დრიბლინგით გავიდა კარის სიახლოვეს, დაარტყა კარში, მაგრამ დენისენკომ ზედ ხაზზე დაიჭირა მეტად ძნელი ბურთი.

მეორე ტაიმი მთლიანად დინამოელთა უპირატესობით მიმდინარეობდა. მართალია, მათ რიგებს ჯერ კიდევ შესვენებამდე გამოაკლდა მთავარი გამთამაშებელი ღოღობერიძე, მაგრამ ზეინკლიშვილი მაშინვე აგრესიულად, მთელი მონდომებით ჩაება თამაშში. გავიდა 10 წუთი, 15, 20 და ბურთი არ მოსცილებია “ტორპედოს” საჯარიმო მოედანს. სახიფათო მომენტები იქმნებოდა ხან ფლანგებზე, ხან ცენტრში, რამდენიმეჯერ ბურთი სულ უმნიშვნელო მანძილით ასცდა მოსკოველთა კარს, მაგრამ გოლი არ ჩანდა. მთელ ამ ხანგრძლივ შეტევას, განუწყვეტელ იერიშებს არ ჰქონდა გადამწყვეტი, საბოლოო დარტყმა, რომელიც გუნდს მოუტანდა თუნდაც ფრეს.

ტორპედოელებმა მატჩის დასაწყისში გატანილი გოლით მიაღწიეს გამარჯვებას - 1:0.

ამავე გუნდების დუბლშემადგენლობათა მატჩი დამთავრდა “ტორპედოს” გამარჯვებით - 3:1.

რ. ქორიძე.

“ლელო”, 17 მაისი, 1959 წ.

დამატებითი მონაცემები “სოვეტსკი სპორტიდან”